



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
 MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური
 DIVISION FOR ENVIRONMENTAL PERMITS AND LICENSES

საქართველო, 0162, თბილისი, ზ. შალვაშვილის ქ. 87, ტელ: 29-41-24, ფაქსი: 25-17-20, E-mail: ecoegzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და
 ლიცენზიების სამსახურის უფროსა

თეიმურაზ გოდერძიშვილი

(სახელი, გვარი)

(Handwritten signature)
 (ხელმოწერა)



სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 40

“ 10 ” 12 2004 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის კატეგორია – მეორე
2. პროექტის დასახელება – მინერალური ნედლეულისაგან
სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმო
3. ინვესტორის დასახელება და მისამართი – შპს “რუსთავი UNIVERSI”,
ქ. წყალტუბო, დედაენის ქ. №30/5
4. განხორციელების ადგილი – რუსთავი, მარის არხი მე-3 დასახლება №182
5. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 06.09.04წ.
6. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს “რუსთავი UNIVERSI”

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შ.პ.ს. „რუსთავი-UNIVERSI“-ს მიერ გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „მინერალური ნელეულისაგან სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმოს“ გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაცია შესრულებულია შ.პ.ს. „რუსთავი-UNIVERSI“-ს მიერ ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრის რ. ცხვიტავას კონსულტაციით.

განსახილველი საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, მარის არხის მე-3 დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 28-ე კმ-ზე. საწარმო დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 100-120 მეტრით. /გვ.14; § I.1.1.3/, ამასთან სანიტარული ზონა განისაზღვრება 100 მეტრით. საქმიანობის მიზანია მინერალური ნელეულისაგან წლიურად 14400 ტ. ცემენტის, 4 ათასი მ³ ბეტონისა და 100 ათასი ცალი პემზა-ბლოკის გამოშვება-რეალიზაცია.

წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში განხილულია საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი ასპექტები, დადგენილია ზემოქმედების ფაქტორები და შეფასებულია ზემოქმედების სახეები, წარმოქმნის ალბათობა და მოცემულია ზემოქმედებით გამოწვეული გარემოს ახალი მდგომარეობის ანალიზი. გამოვლენილია ზემოქმედების შემცირების შესაძლებლობები, ყველა სახის ემისიებისა და ნარჩენების მინიმისაციის, მართვისა და უტილიზაციის საშუალებები.

წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა ძირითადად დაკავშირებულია ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელ ემისიებთან. წარმოდგენილი გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ:

– საწარმოს საქმიანობის შედეგად მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი 10 წყაროდან ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი, ცემენტის მტვერი, სხვადასხვა მძიმე მეტალი, მანგანუმი და მისი ნაერთები, ფტორწყალბადი, ფტირიდები, ნახშირჟანგი და აზოტის დიოქსიდი. საწარმოში გათვალისწინებულია ცემენტის მტვრის ორსაფეხურიანი დაჭერა ციკლონისა და სახელოებიანი ფილტრების საშუალებით;

– საწარმოს ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე მიუერთდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელს;

– მოწყობილობებიდან და დანადგარებიდან გამოწვეული ხმაურისაგან დაცვის მიზნით სამუშაო ადგილებზე და საწარმოო ზონებში გათვალისწინებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

– მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდისათვის საწარმოში იგეგმება ატმოსფერული ჰაერისა და ჩამდინარე წყლების მონიტორინგი და მიმდებარე ტერიტორიის კუთილმოწყობა;

წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში დანართის სახით მოცემულია უნიფიცირებული სისტემა „ეკოლოგი“-თ ჩატარებული გათვლების შედეგები, ტექნიკური ხასიათის მასალები და მონაცემები.

დოკუმენტაცია შეთანხმებულია ქ.რუსთავის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექციასთან /№369-20; 26.08.04/.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების ინვენტარიზაციისა ნორმატივების დადგენის პროექტებს გავლილი აქვს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორგანოებთან შეთანხმება-დამტკიცების სავალდებულო პროცედურა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და შეფასების შედეგად, დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული შენიშვნები და მოსაზრებები, ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. შენიშვნები

1. საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული სტრატეგიის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული იქნეს:
 - გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მითითებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებას.
 - ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების გეგმა; მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მითითებით.
2. ნარჩენების განთავსების საკითხები შეთანხმდეს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან.

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;
2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, ყოველი წლის დეკემბრის თვეში, წარდგენილ იქნას შესაბამისი ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ქვემო ქართლის რეგიონალურ სამმართველოში;
3. ობიექტი გარემოსდაცვით სახელმწიფო ინსპექტირებას ექვემდებარება ორ წელიწადში ერთხელ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს მიერ.

V. დასკვნა


შ.პ.ს. „რუსთავი-UNIVERSI“-ს მიერ გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი “მინერალური ნედლეულისაგან სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმოს გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის” მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია.

საწარმოს საქმიანობის დაწყებამდე გათვანისწინებული იქნეს წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნები და IV თავში მოყვანილი I პირობა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე

დ. გირგვლიანი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)





საქართველოს გარემოს ღაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოსღაცვითი ნებართვა № 0018

კოდი M D I

“ 11 ” “ მაისი ” 2005

- | | | |
|----|-----------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1. | ნებართვის მიმღები სუბიექტი | შპს „რუსთავი UNIVERSI“ |
| 2. | საქმიანობის მიზანი | სამშენებლო მასალების დამზადება
(ცემენტი, ბეტონი, ჰემზა-ზლოცი) |
| 3. | განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა | ქ. რუსთავი, მარის არხის მე-3 დასახლება N 182 |
| 4. | დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია | შპს „რუსთავი UNIVERSI“ |
| 5. | ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია | გარემოსღაცვითი ნებართვის დამასპუტებელი დოკუმენტაცია |
| 6. | ნებართვის გაცემის საფუძველი | სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ქროქტზე N: 40; 10.12.04 |
| 7. | ნებართვის მოქმედების ვადა | 5 (ხუთი) წელი |
| 8. | ნებართვის პირობები | ნებართვა მოქმედებს დანართში მოყვანილი ჰუნჯტების შესრულების აუცილებლობის პირობით (იხ. დანართი 1 გვ-ზე). |

გარემოსღაცვითი ნებართვა გაცემულია:
საქართველოს გარემოს ღაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტროს მიერ

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე
პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

[Handwritten signature]

დ. ვირვლიანი
კომისიის თავი

გარემოსღაცვითი ნებართვის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

[Handwritten signature]

ზ. ჩუიშვილი
სამსახურის უფროსი

გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები

შპს „რუსთავი univर्सის“ მიერ წარმოდგენილ „სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმოს“ გარემოსდაცვითი ნებართვის დამასახულებელ დოკუმენტაციაზე

1. საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული სტრატეგიის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული იქნეს;
2. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მითითებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებას.
3. ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების გეგმა; მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მითითებით.
4. ნარჩენების განთავსების საკითხები შეთანხმდეს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან.
5. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;
6. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, ყოველი წლის დეკემბრის თვეში, წარდგენილ იქნას შესაბამისი ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ქვემო ქართლის რეგიონალურ სამმართველოში;
7. ობიექტი გარემოსდაცვით სახელმწიფო ინსპექტირებას ექვემდებარება ორ წელიწადში ერთხელ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს მიერ.